HTTPS://DOI.ORG/10.52340/PUTK.2023.27.37

კრემლის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში 1921–1944 წლებში (კონსტანტინე კანდელაკის მოხსენების მიხედვით)

THE NATIONAL POLICY OF THE KREMLIN IN THE CAUCASUS IN 1921-1944 (ACCORDING TO KONSTANTIN KANDELAKI'S REPORT)

ლევან ჯიქია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
Levan Jikia
Sokhumi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

In 1921, Soviet Russia invaded Georgia. The absolute majority of the members of the Democratic Republic of Georgia's Government and the Constituent Assembly (Parliament) left the country and emigrated. Among them was Mr. Konstantine (Kotsia) Kandelaki, a member of the Constituent Assembly, the Minister of Finance and Trade-Industry. In exile, Konstantine Kandelaki published several remarkable works on economic issues. His unpublished work titled 'Kremlin's National Policy in the Caucasus,' preserved in the National Archives of Georgia, was presented in the form of a report in one of the institutions in Europe. In this work, the author delves into all the corrupt aspects of Soviet Russia's national policy in the Caucasus, which placed the nations of the Caucasus in a disastrous situation.

The Russification process was executed through unprecedented methods. In November and December 1943 and February 1944, nearly one million people were killed in the Karachay and the Balkarian Autonomous Oblasts, as well as the Checheno-Ingush Autonomous Soviet Socialist Republic. Simultaneously, the ethnic Russian population was rapidly relocated to these territories. This strategy mirrored the historical precedent set by Tsarist Russia, which, in 1864, deported the Cherkess from the Caucasus and replaced them with Russian settlers. The political leadership of the Soviet Union was guided by this historical context in their actions.

Clearly, the Caucasus held significant strategic importance for Soviet authorities in advancing their interests in Asia.

According to K. Kandelaki, Kremlin politics is coercive. The peoples of the Caucasus deserve freedom, and once they are free, they will find common ground for unrestricted collaboration with peace-valuing countries.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში 1921-1944 წლებში, კონსტანტინე კანდელაკის ღვაწლი მოღვაწეობა.
Keywords: The national policy of Russia in the Caucasus in 1921-1944, accomplishments of Konstantine Kandelaki.

კონსტანტინე (კოწია) კანდელაკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრი იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან. ამასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში მას ჯერ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილის, შემდეგ კი მინისტრის თანამდებობა ეკავა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კონსტანტინე კანდელაკი ემიგრაციაში გაემგზავრა. ემიგრაციაში მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი დაწერა, რომელიც დღემდე იქცევს სპეციალისტთა ყურადღებას.

კონსტანტინე კანდელაკის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „კრემლის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში“ საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება. ავტორმა ის ევროპის ერთ-ერთ ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენების სახით.

კონსტანტინე კანდელაკი მოხსენებაში თხრობას იწყებს 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთმა რამდენიმე თვეში დაარღვია საქართველოსთან დადებული შეთანხმება და მისი ოკუპაცია და ანექსია განახორციელა.

1922 წელს ქ. ბერლინში გაიმართა მუშათა მესამე ინტერნაციონალის სხდომა, რომელზეც რამზეი მაკდონალდმა, ემილ ვანდერველდემ და სხვებმა პირდაპირ დაუსვეს კითხვა კომუნისტებს: „საბჭოთა ხელისუფლებამ რათ მოახდინა ოკუპაცია საქართველოსი“? ამაზე კარლ რადეკის პასუხი ასეთი იყო: „რუსების მუშებს კავკასიის ნავთი ესაჭიროებადო!“

როგორც კონსტანტინე კანდელაკი აცხადებს, ეს იყო პირველი ოფიციალური აღიარება ბოლშევიკების მხრიდან კავკასიაში მათ მიერ განხორციელებული იმპერიალისტური პოლიტიკის შესახებ. ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთს აზერბაიჯანისა (ბაქოს) და ჩრდილოეთ კავკასიის (გროზნოს) ნავთობის ხელში ჩასაგდებად სჭირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის დაპყრობა. რაც შეეხება სომხეთს, მას ის სჭირდებოდა როგორც სატრანზიტო დერეფანი სპარსეთის მიმართულებით.

კონსტანტინე კანდელაკი მართებულად შენიშნავს, რომ ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთი, ფაქტიურად, არ ცნობდა მეზობლებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და ზოგადად კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

მართალია, საბჭოთა რუსეთი მიერთებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო აქტს, სადაც ერთა თვითგამორკვევის უფლებები აღიარებული იყო, თუმცა რუსეთი ნაკისრ ვალდებულებებს, სცადია, არ ასრულებდა. კონსტანტინე კანდელაკი ამ თვალსაზრისით შემდეგ მაგალითებს ასახელებს:

1. 1923 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ყრილობაზე იოსებ სტალინი თავს დაესხა იმ ამხანაგებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცალ-ცალკე გაწევრიანებას. ამ შეხედულების დამცველი ქართველი ბოლშევიკები სასტიკად დასაჯეს, როგორც „უკლონისტები“. თუმცა მოგვიანებით ი. სტალინმა ხელისუფლების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და სამივე რესპუბლიკა უშუალოდ გააწევრიანა საბჭოთა კავშირში. მაშ, რატომ მოექცნენ ასე სასტიკად ე. წ. „უკლონისტებს“?

2. ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკები და ოლქები გაერთიანებული იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაში. საბჭოთა რუსეთის მიერ მათი დაპყრობის შემდეგ ისინი დატოვეს რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ისტორიით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით, ნაწილობრივ სარწმუნოებითა და რასიული ჩამომავლობით ერთმანეთთან და ამიერკავკასიის მეზობლებთან უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე რუსებთან. კ. კანდელაკი სვამს კითხვას: პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ მათი რუსეთის შემადგენლობაში მოქცევა გარუსების მიზანს ხომ არ ემსახურებოდა?

3. 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთმა ქ. მოსკოვში ხელი მოაწერა ოსმალეთთან ხელშეკრულებას, რომლის თანახმად მან სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიები ოსმალეთს გადასცა. კრემლი არცკი შეკითხვია ამაზე ამ ქვეყნების მოსახლეობას. ამ დროს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას, ხოლო საქართველოში წითელი არმია ამ დროს ჯერ კიდევ აწარმოებდა საქართველოს ოკუპაციას. 1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში მოწვეული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების წარმომადგენლები ფაქტის წინაშე დააყენეს – ხელი მოეწერათ ოსმალეთთან ხელშეკრულებაზე „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მონაწილეობით“ – როგორც ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული.

ანუ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობამდე საბჭოთა რუსეთი აზრს არ ეკითხებოდა არათუ ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ადგილობრივ ნაციონალურ მთავრობებსაც კი. ეს იყო საბჭოთა რუსეთის ნაციონალური პოლიტიკის გამოხატულება კავკასიაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, სადაც გათელილი იყო ადამიანის ელემენტარული უფლებები, ყველა ერი, მათ შორის რუსი ერიც, საერთო პოლიტიკური უუფლებობისა და ეკონომიკური შევიწროების პირობებში ცხოვრობდა. ამ საერთო შევიწროების ფონზე საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ამ უფლებებითაც.

როგორც კ. კანდელაკი აღნიშნავს, რუსეთისგან განსხვავებით კავკასიაში სამოქალაქო ომი არ ყოფილა. კავკასიის ერები თავს იცავდნენ როგორც წითელი, ასევე თეთრი არმიისგან. წითელი ჯარისკაცის ფარაჯის ქვეშ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაინახა რუსის მუჟიკი და დაუხვდა მას, როგორც დამპყრობელს.

წითელი არმიის თბილისში შემოსვლას „პოგრომი“ მოჰყვა, თუმცა ეს არ იყო დამშეული, შიშველი და თავშეუკავებელი ბრბოების დროებითი ნაბიჯი, არამედ ეს იყო წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკის ნაწილი.

საქართველოს ძარცვა დიდხანს გაგრძელდა. ავსტრიელი სოციალისტი ი. ბრაუნტალი, რომელიც ევროპის პროფკავშირმა საქართველოში გაგზავნა, ქვეყნის ოკუპაციის ექვსი თვის თავზე ასე აღწერს საქართველოში არსებულ ვითარებას: „განადგურება, განადგურება, უნუგეშო განადგურება: აი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს საქართველოში ჩასული კაცი. ქუჩები,

სახლები, სახელმწიფო დაწესებულებების სადგომები, ბინები, ავეჯი, სკამები, მაგიდები, შკაფები, ტანთსაცმელი, საცვლები, ფეხსაცმელები: ყველაფერი დანგრეული, დაფხრეწილი, დამსხვრეული, დაქცეული, გაცვეთილი და გაპარტახებული“.

განადგურებას ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. იმ დროს ევროპის ბაზრებზე საბჭოთა აგენტები ევროპელ ვაჭრებს მხოლოდ კავკასიის საქონელს აწვდიდნენ.

კავკასიიდან მეტი ფინანსური სარგებლის მისაღებად საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის ფულის ნიშნები ფასდაკარგულ საბჭოთა ფულის ნიშნებს გაუთანაბრა, ხოლო შემდეგ ხმარებაში ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკის ფულის ნიშნები შემოიღო. ამით საბჭოთა აგენტებს მუქთად მიჰქონდათ კავკასიიდან რუსეთში ნავთი, ბამბა, თამბაქო და სხვა საქონელი ან ჰყიდიდნენ უცხოელებზე.

როგორც კ. კანდელაკი აღნიშნავს, რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას კარგად ახასიათებს ერთი გარემოება: რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს ენიჭებოდა უფლება, ზოგიერთ ქვეყანასთან დამოუკიდებლად დაემყარებინა სავაჭრო ურთიერთობა, ხოლო აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს გასაცვლელ საქონლად შეეძლო გამოეყენებინა თავისი ქვეყნის ყველა საქონელი გარდა ნავთობისა.

მართალია, საქართველო გარკვეულ კრიზისს განიცდიდა, მაგრამ წითელი არმიის საქართველოში შემოსევის დროისთვის საქართველოს ფულის ერთეული ათჯერ აღემატებოდა მსყიდველობითი უნარით საბჭოურ ფულის ნიშნებს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საოკუპაციო ხელისუფლების ხელში მოექცა ქართული ფულის საბეჭდი მანქანა და დაიწყო დიდი რაოდენობით ფულის ბეჭდვა. მაგალითად, თუ 1920 წელს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 8 მილიარდი მანეთის ღირებულების ფულის ნიშნები დაბეჭდა, 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაიბეჭდა 195 მილიარდი მანეთის ღირებულების, ხოლო 1922 წელს – 878 მილიარდის. ასე გააუფასურა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ფული. საბჭოთა ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა ქართველ კომუნისტებშიც.

კ. კანდელაკი ასახელებს მოსკოვის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მორიგ ნაბიჯს, რომელიც მიწის ნაციონალიზაციაში გამოიხატა. აქ მიწის ნაციონალიზაცია მხოლოდ წვრილ მესაკუთრე გლეხობას შეეხო, რამაც მოსახლეობის 80% უკმაყოფილო გახადა.

განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა გლეხთა უკმაყოფილება კავკასიაში „კოლმეურნეობათა“ და „საბჭოთა მეურნეობათა“ სოფლის მეურნეობაში შემოღების გამო. ამას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში. მიუხედავად ყველაფრისა, ამ მოვლენას ჰქონდა ერთი დადებითი მომენტიც: ამ ღონისძიებებმა შეკრა ადგილობრივი ერები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იყო შემთხვევები, როდესაც ქრისტიანი სომხის მღვდელი ლოცვა-კურთხევით ხვდებოდა აჯანყებულ მუსულმანებს და აზერბაიჯანელი მოლა ფიცს ართმევდა სომეხ პარტიზანებს.

კრემლის ძირითად მიზანს სახალხო მეურნეობის ცენტრალიზაცია წარმოადგენდა. ცენტრალიზმი მძიმედ დააწვა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობას. ამიტომ პარტიის შიგნით ე. წ. „უკლონისტები“ ცდილობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობაში დამოუკიდებლობის თუნდაც მცირე ნიშანი მოეპოვებინათ. „უკლონისტები“ ხედავდნენ, თუ როგორ ცდილობდნენ ცენტრალისტები, კონსტიტუციის ძალით ხელში ჩაეგდოთ შემოსავლის მთელი წყარო. „უკლონისტებმა“ ეს ბრძოლა წააგეს, ყოველ შემთხვევაში საქართველოში. 1924 წლის პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში სახალხო მეურნეობის ცენტრალიზმი დაკანონდა, ხოლო 1936 წლის „სტალინის კონსტიტუციამ“ ეს ცენტრალიზმი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციითა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისი მუხლებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაგეგმვისა და განკარგვის უფლება სსრკ ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა. ასევე, ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა იყო მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსავლებისა და გადასახადების დაგეგმვა; კრედიტის, სესხის, მიწათსარგებლობისა და სხვა საკითხების განკარგვა. აქედან გამომდინარე, ირონია იგრძნობოდა სსრკ კონსტიტუციის მე-15 მუხლში, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „მოკავშირე რეპუბლიკა ახორციელებს დამოუკიდებლად სახელმწიფო ხელისუფლებას“.

საბჭოთა კავშირში მოკავშირე რესპუბლიკები იძულებული იყვნენ ხელი გაეწოდათ ცენტრისთვის და მისთვის სუბსიდიები და დოტაციები ეთხოვათ, რადგან მათ არ შეეძლოთ, კონსტიტუციის თანახმად, დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მინიმალური უფლებები და მოვალეობები. ცენტრალური ხელისუფლება კი დოტაციებსა და სუბსიდიებს აძლევდა იმას, ვინც ცენტრალური ხელისუფლების განზრახვების საიმედო აღმასრულებელი იყო. ეს იყო კრემლის ნაციონალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რათა მორჩილებაში ჰყოლოდა მოკავშირე რესპუბლიკა.

კ. კანდელაკის შენიშვნით, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის იმ დარგებს მფარველობდა, რომელიც მისთვის უფრო პრიორიტეტული იყო, ან მისი მეურნეობის დამხმარე ფუნქციას ასრულებდა.

კ. კანდელაკი ეხება საბჭოთა ხელისუფლების მიერ კავკასიაში გატარებული ნაციონალური პოლიტიკის კიდევ ერთ მიმართულებას, რომელიც მხარის რუსიფიკაციაში გამოვლინდა; მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთიდან ეთნიკური რუსების მხარეში ჩასახლების პროცესი, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის როლი. ეს ტენდენცია დაიწყო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე და 1934 წლის 1 აგვისტოსთვის უკვე შემდეგი სურათი იყო: ოფიციალური ცნობების მიხედვით, ძირითადი მოსახლეობის პროცენტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავეთა შორის ასეთი იყო:

	აზერბაიჯანში (აზ. თურქები)	საქართველოში (ქართველები)	სომხეთში (სომხები)
მრეწველობაში	21,8	51,2	89,0
აღმშენებლობაში	13,0	21,6	85,7
საბჭოთა მეურნეობაში	20,5	33,0	84,2
დაწესებულებებში	32,2	42,5	93,9

როგორც ამ სტატისტიკური მასალიდან ჩანს, სამი რესპუბლიკიდან ერთადერთ გამონაკლისს სომხეთი წარმოადგენა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი მეურნეობაში კვლავ მაღალი იყო.

რუსიფიკაციის ტენდენცია არანაკლებ მაღალი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგალითად:

	დაღესტნის ავტ. ს.ს.რ.	ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტ. ოლქში	ყაბარდო-ბალკარის ავტ. ოლქში
მრეწველობაში	27,9	9,5	18,1
აღმშენებლობაში	27,6	8,5	6,9
საბჭოთა მეურნეობაში	14,5	9,0	26,4
დაწესებულებებში	26,2	13,0	13,1

ანალოგიური ვითარება იყო სხვა ავტონომიურ ოლქებში: ჩრდილოეთ ოსეთში, ყარაჩაიში და სხვაგან.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა: როცა ძირითადი მოსახლეობის ხვედრითი წილი თავისი ქვეყნის დაწესებულებებში არ აღემატება 13%-ს, მრეწველობაში – 9,5%-ს, ვინ არის ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი – ადგილობრივი მოსახლეობა თუ გარედან მოსული?

1917 წელს საქართველოში რუსეთის მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატებოდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 4,9%-ს, 1922 წელს იგი – 3,4%-ს შეადგენდა. 1939 წლის აღწერილობით, რუსეთის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში აღწევდა 8,7%,-ს, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლის შემდეგ (1921-1939) ეთნიკური რუსის ხვედრითი წილი ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე რუსეთის საიმპერატორო მთავრობის 117-წლიანი (1801-1917) ბატონობის დროს. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ მეფის რუსეთი სრულიადაც არ ერიდებოდა მხარის კოლონიზაციას.

რუსიფიკაციის პროცესი გაუგონარი მეთოდებით მიმდინარეობდა, მაგალითად, 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 1944 წლის თებერვალში თითქმის ერთი მილიონი მოსახლეობა გაჟლიტეს ყარაჩაისა და ბალყარეთის ავტონომიურ ოლქებში და ჩაჩან-ინგუშეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში. ამ ტერიტორიებზე კი რუსეთიდან სწრაფად ჩაასახლეს ეთნიკურად რუსი მოსახლეობა. ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოქმედებდა მეფის რუსეთისდროინდელი პოლიტიკით, როდესაც 1864 წელს კავკასიიდან გაასახლა ჩერქეზები და მათ ნაცვლად რუსეთიდან მოსახლეობა ჩაასახლა.

ცხადია, საბჭოთა მთავრობისთვის კავკასიას აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, რათა ის გამოიყენოს აზიის მიმართულებით თავისი ინტერესების განსახორციელებლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა ირანში პოზიციების განმტკიცება,

მაგრამ ეს ვერ შეძლო. ასევე, დაემუქრა ოსმალეთსაც. რა თქმა უნდა, თავისი აგრესიული მიზნების განსახორციელებლად ისინი კავკასიის გამოყენებას შეეცდებიან. ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ოსმალეთისა და ირანის მოსაზღვრე ტერიტორიებიდან შიდა ტერიტორიებზე გადაჰყავთ. ეს კეთდება იმ მიზნით, რომ ამ ტერიტორიებზე შექმნან რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგანის No man's land (ცარიელი ადგილი). ცხადია, ეს კეთილმეზობლური განზრახვით არ კეთდება.

კავკასიის რუსიფიკაციის პოლიტიკის ნაწილია როგორც ქრისტიანი, ასევე მუსულმანი მოსახლეობის დევნა, თუმცა ხელისუფლება აქ მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა.

საბჭოთა კავშირში ისტორიკოსები იძულებული არიან წერონ, რომ მზე მხოლოდ რუსეთში ამოდის და ჩადის, მწერლებმა კი უნდა ამტკიცონ, რომ კაცობრიობის წინამძღოლი ვარსკვლავი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა.

კ. კანდელაკის დასკვნით, კრემლის პოლიტიკა ეს არის ძალდატანების პოლიტიკა. ერნესტ რენანმა, როცა ის ნაციონალურ საკითხზე წერდა, აღნიშნა: „საბაჟო კავშირი არ არის სამშობლო!“ ანუ, გარეგნული გაერთიანებით სამშობლო არ შეიქმნებაო.

კავკასიის ერები იმსახურებენ თავისუფლად არსებობას, თავისუ-ფალი კავკასიელები კი მონახავენ საერთო ნიადაგს თავისუფალი თანამშრომლობისთვის ყველა მშვიდობისმოყვარე ერთან (სეა, ცსა, ფ. 2116, ან. 1, ს. 60, ფ. 4-37).

ამდენად, კონსტანტინე კანდელაკი თავის მოხსენებაში – „კრემლის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში“ – შეეხო რუსეთის მიერ კავკასიაში განხორციელებული ნაციონალური პოლიტიკის ყველა მანკიერ მხარეს, რამაც კავკასიელი ერები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

გამოყენებული წყარო

კანდელაკი: კანდელაკი კ., კრემლის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში (გამოუქვეყნებელი ნაშრომი). დაცულია: საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, კონსტანტინე კანდელაკის ფონდი 2116, ანაწერი 1, საქმე 60, ფურცლები 4-37.